მარიამ ოდოშაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია დღის ცენტრისა და საჯარო სკოლის მაგალითზე

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქ. ირმა ბარბაქაძე,
პროფესორი,
თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე,
მოწვეული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი, 2019

საავტორო უფლება 2019 მარიამ ოდოშაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მარიამ ოდოშაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია დღის ცენტრისა და საჯარო სკოლის მაგალითზე“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი:_____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: მარიამ ოდოშაშვილი

დასახელება: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია დღის ცენტრისა და საჯარო სკოლის მაგალითზე“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას

ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა განათლების მისაღებად. სხვადასხვა კვლევების თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები თავს გრძნობენ გარიყულად და ვერ ყალიბდებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

თემის აქტუალობა: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების მისაღებად თანაბარი შესაძლებლობები, ამასთანავე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადაპტირებული გარემო, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები შეძლებენ სოციალიზაციას და იქნებიან ისეთივე ფუნქციურები როგორც არიან ტიპური განვითარების მოზარდები. ამასთანავე მნიშვნელოვან და ყველაზე მთავარ როლს წარმოადგენს საზოგადოების დამოკიდებულება, რაც უნდა შეიცვალოს და საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობის პირი არ უნდა აღიქვას როგორც განსახვევბული და არ უნდა გარიყოს ისინი. სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სწორედ საზოგადოება წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველაზე დიდ ბარიერს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძნელი გადასალახია, თუ ეს ბარიერი იქნება დაძლეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები შეძლებენ გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და იყვნენ ფუნქციურები. აუცილბელია, რომ მათი ინტერესები და შეხედულებები იყოს გათვალისწინებული.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის კვლევა, საჯარო სკოლასა და დღის ცენტრში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და ანალიზი.

კვლევის საგანია - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის კვლევა.

კვლევის ობიექტი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის ხარისხის შესწავლა დღის ცენტრში და საჯარო სკოლაში.

საკვლევი თემის ჰიპოთეზა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციისათვის არ არის შექმნილი შესაბამისი ადაპტირებული გარემო.

კვლევა ატარებს **თვისებრივ** ხასიათს, დაფუძნებულია პირად გამოცდილებასა და ჩაღრმავებულ ინტერვიუზე. აღნიშულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლის პედაგოგებმა, საჯარო სკოლის სპეციალურმა პედაგოგებმა, დღის ცენტის პედაგოგებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მშობლებმა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელი გახდა და გამოიკვეთა არსებული პრობლემები როგორც დღის ცენტრში ასევე საჯარო სკოლაში.

მოცემულ კვლევაში ჩანს სად როგორი ხარისხით მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია.

Resume

The priority of all democratic states is the creation of equal opportunities for education. According to the various studies, adolescents with disabilities are feeling alone and mostly they are unable to become full-fledged members of society.

The relevance of the theme: The State must provide an adaptive environment for young people with disabilities, where they will be able to socialize and have the same functions as the healthy adolescents. In addition, the most important thing is that, society must change the point of view and has to accept people with disabilities in the way they are, without any kid of discrimination. Based on various studies, it seems that the society is the biggest barrier for people with disabilities, which is often difficult to overcome. If this barrier will be overcome, the disabled people will be able to become full-fledged members of society and be functional. It is imperative that their interests and opinions be taken into consideration.

The goal of the research is to identify and analyze the problems related to young people with disabilities, especially at public schools and day-care centers.

The subject of the research – Studying how adolescents with disabilities are socializing in modern environment.

The object of the research - Study of the quality of socialization of children with disabilities in the day –care center and public school.

The hypothesis of the research topic – There is no adaptive environment for the socialization of adolescents with disabilities.

The research conducts a **qualitative nature** based on personal experience and in-depth interviews. The public school teachers, public school special teachers, day care teachers and parents of disabled children participated in the study.

Based on the results of the survey in a day-care center and public school all the existing problems became clear and had revealed. This study shows the degree of socialization of disabled children.

შინაარსი

შესავალი 1

1. ლიტერატურის მიმოხილვა 4

1.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია სხვა ქვეყნებში 9

2. კვლევითი ნაწილი 21

2.1 საჯარო სკოლის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 23

2.2 საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგების ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 29

2.3 დღის ცენტრის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 33

2.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლების ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 37

დასკვნა 42

რეკომენდაციები 46

გამოყენებული ლიტერატურა 48

შესავალი

სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალიზაცია და შეუქმნას მათ საჭირო პირობები ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლება საქართველოში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ამოქმედდა, რომელიც გულისმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ჩართულობასაც, ამავდროულად ინკლუზიური განათლება გულისმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტული იყოს თანაბარი შესაძლებლობების შექმნა განათლების მისაღებად, რადგან ყველა იყოს თანაბარი და თითოეულმა ადამიანმა მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებმა შეძლოს განათლების მიღება და იყვენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

ჩემი **დაინტერესება საკითხისადმი** განაპირობა ჩემმა გამოცდილებამ ინკლუზიური განათლებისადმი და პირადმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ, როდესაც ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ (ძირითადი სპეციალობა - ინკლუზიური განათლება) დავიწყე პედაგოგიური საქმიანობა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სპეციალურ პედაგოგად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები, რომლებიც სწავლობენ საჯარო სკოლებში, ძირითადად მათი სოციალიზაცია და განვითარება არ ხდება იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ და იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, სწორედ ამიტომ დავინტერესდი ამ საკითხით და გადავწყვიტე ჩემი

სამაგისტრო თემის ფარგლებში მემუშავა ამ თემაზე და შევხებოდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციას.

საკითხი **აქტუალურია**, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისთვის გარემო არ არის ადაპტირებული და არ ხდება მათი სოციალიზაცია და განვითარება, ისინი ვერ გრძნობენ თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და ხშირად თავს გარიყულად გრძნობენ. როგორც უკვე ავღნიშნე ხშირ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისთვის ყველაზე რთულად დასაძლევი ბარიერი არის სწორედ საზოგადოება. სახელმწიფომ უნდა შექმნას ადაპტირებული გარემო, ისეთი გარემო, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები იქნებიან ფუნქციურები და აქტიურები, გარემო სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების აზრი და შეხედულებები იქნება გათვალისწინებული.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის კვლევა, საჯარო სკოლასა და დღის ცენტრში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და ანალიზი.

შესაბამისად, კვლევის ამოცანები არის: მეორადი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ჰიპოთეზის შემუშავება, კვლევის მეთოდებისა და რესპოდენტთა ჯგუფის განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მიღებული ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანია - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის კვლევა.

კვლევის ობიექტი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის ხარისხის შესწავლა დღის ცენტრში და საჯარო სკოლაში.

კვლევა არის თვისებრივი ხასიათის ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით განხორციელებული. რესპოდენტებად არჩეულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების პედაგოგები, დღის ცენტრის

პედაგოგები, საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მშობლები.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა არის შემდეგნაირი: თავდაპირველად თემაში განხილულია დღის ცენტრი და საჯარო სკოლა, შემგომ განხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია სხვა ქვეყნებში, კერძოდ: ნორვეგიაში და გერმანიაში. კვლევის საფუძველზე კი წარმოგიდგენთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

დღესდღეისობით თანამედროვე საზოგადოებაში ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა განათლების მისაღებად.

სწავლის პროცესში ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სირთულეებს ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური თუ სხვა მდგომარეობით, თუმცა განურჩევლად ყველა მოზარდი იმსახურებს თანაბარი განათლების მიღების უფლებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ინკლუზიური განათლება, რომელიც ითვალისწინებს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის **ჩართვას** სასწავლო პროცესში მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა.

წიგნში **„გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“** გადმოცემულია თუ რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება. წიგნიდან ირკვევა, რომ ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხოლოდ საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. (პაჭკორია, 2009)

წიგნში **„ინკლუზიური განათლების პრინციპები“** განხილულია ინკლუზიური განათლების სხვადასხვა პრინციპები და გაანალიზებულია, რომ ინკლუზიურ განათლებას მრავალი სარგებელი მოაქვს და ასევე აქვს უპირატესობები.

ინკლუზიური განათლების ფარგლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს:

- საკლასო ოთახში შესაფერისი განათლების უზრუნველყოფა ბავშვს აძლევს საშუალებას თავი იგრძნოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.
- კლასელებთან ურთიერთობით და საკლასო ოთახში განვითარებულ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღებით ბავშვს ეზრდება თვითშეფასება და მოტივაცია.
- თანაკლასელებთან ურთიერთობით ბავშვი სწავლობს თავისი ასაკისთვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სიტუაციაში. (გაგოშიძე, 2008)

2004 წელს ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, ინკლუზიური განათლების დანერგვა/განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად იქნა აღიარებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, თავის გრძელვადიან მიზნად დაისახა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ), მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა განათლების სფეროში ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ამ სფეროში.

სტატიაში „**ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა**“ გადმოცმულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგის ჩამოყალიბების მიზნით, 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ 2005-2008 წლებში განხორციელდა პროექტი

„ინკლუზიური სწავლების დაგეგმვა თბილისის 10 სკოლაში“ რომელმაც ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას. (ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა, 2017)

პროექტის შედეგმა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებამ ცხადყო რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ერთიანი შეთანხმებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს. დღევანდელი მონაცემით საქართველოს თითქმის ყველა საჯარო სკოლაში დანერგილია ინკლუზიური განათლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას.

ალტერნატიულ ანგარიშში **„ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“** საუბარია სპეციალური მასწავლებლის შესახებ. ანგარიშიდან ირკვევა, რომ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდა უზუსტო ჩანაწერი „სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლის“ თაობაზე. შემდგომში, კერძოდ 2010 წლის დეკემბერში განხორციელდა ცვლილება კანონში და ეს ჩანაწერი შეიცვალა. კანონის ამჟამინდელ რედაქციაში გამოყენებულია ტერმინი „სპეციალური მასწავლებელი“ და განმარტებულია, როგორც მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე. სპეციალური მასწავლებლის ტრენინგს პერიოდულად ახორციელებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (ჭანტურია, 2016)

საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით, შეზღუდული შესაძლებლობა არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან

ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება ეფუძნება, ერთის მხრივ, მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ფუნქციონირების დონის დეტალურ ანალიზს. (პაჭკორია, 2009)

დღესდღეისობით სულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 390 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდი ირიცხება. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019)

დღეს ყველა სკოლა ვალდებულია მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს ზოგადი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობას ყველასთვის და ავალდებულებს სკოლას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს ხარისხიანი განათლება შესთავაზოს და შექმნას პირობები ინკლუზიური განათლებისათვის.

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. იგი 1992 წელს, გაეროს მიერ დაარსდა და მისი მიზანია კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება იმ მრავალსაუკუნოვან დისკრიმინაციასა და უგულვებელყოფაზე, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განიცდიან.

საქართველოში შეიქმნა ე.წ დღის ცენტრები რომლის მომსახურების მთავარი ამოცანაა სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. ცალკე არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარების მომსახურების დღის ცენტრები, რომლებშიც მოსწავლეებს შეუძლიათ იარონ სკოლის პარალელურად. (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2018)

შშმ მოსწავლეების შემთხვევაში, დღის ცენტრის მომსახურება დამატებით მოიცავს:

- ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზებას (ბენეფიციარის ტრანსპორტირებას ან სამგზავრო ხარჯების დაფინანსებას, რომელიც დადასტურებული იქნება ბენეფიციარის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ან მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით);
- წლიური ინდივიდუალური აბილიტაციის და/ან რეაბილიტაციის პროგრამის შედგენას (ერთხელ, მიუხედავად მომსახურების მიმწოდებლის შესაძლო ცვლილებისა), განხორციელებასა და განახლებას;
- შშმ ბავშვთა ხელშეწყობას ინკლუზიური განათლებისათვის.

დღის ცენტრების მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერის ტალონები, გაიცემა მომსახურების მიღების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვიდან 12 თვეზე ან, საჭიროებიდან გამომდინარე, თვეებზე, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის, მათ შორის, შშმ ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევისთვის ჩათვლით თვეებზე, ხოლო შშმ პირებზე, (მათ შორის, შშმ ბავშვებზე) შშმ სტატუსის მოქმედების ვადით. ამასთან, დღის ცენტრში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად, მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს, არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემას.

ვაუჩერის ერთ ტალონზე თვეში ასანაზღაურებელი თანხა შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრში შეადგენს 230 ლარს, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დღის ცენტრში თვეში 378 ლარს. ამასთან: თუ წინა თვეში ბენეფიციარის (ბენეფიციარების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ (გარდა

არდადეგებისა) დღეთა რაოდენობა 12 ან მეტია, მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ანაზღაურებისათვის ჯამურად გადასარიცხი თანხის ოდენობა მცირდება გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით 11 ლარზე – შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრის შემთხვევაში, 18 ლარზე. აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსების წესი და პირობები განისაზღვრება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილებით.

დღეის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით დარეგისტრირებულია 88 ორგანიზაცია, მათ შორის 29 თბილისშია დარეგისტრირებული. საქართელოს მასშტაბით 6-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 699 ბავშვი იღებს დღის ცენტრების მომსახურებას.

1.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია სხვა ქვეყნებში

ყველა ადამიანი თანასწორია. მიუხედავად განსხვავებისა სქესის, ფიზიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის, შესაძლებლობებისა და უნარის ნიშნით, ჩვენ ყველანი ერთ საზოგადოებაში დავიბადეთ. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ სრულყოფილი საზოგადოება ხასიათდება მრავალფეროვნებით და არა იგივეობით, თუმცა, ბავშვები და მოზრდილები სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობენ თავს.

იმისათვის, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სრული სოციალიზაცია ერთ-ერთი მიდგომა არის მათი

ინკლუზია საგანმანათლებლო სისტემაში. ამისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული იყოს საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციისაკენ.

საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ისე ორგანიზებული, რომ ადვილად მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების ჩართულობა სისტემაში. აქტუალურია აგრეთვე შესაბამისი კადრების მომზადება და მათი აქტიური გამოყენება. აქამდე მიდგომა ხორციელდებოდა სხვადასხვა მოდელებით, ხოლო ახლა გამოიყენება განვითარების მოდელი, რომელიც განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად და მისთვის იქმნება საიმედო გარემო კორექციულ-პედაგოგიური დახმარებისათვის. მათ აქვთ იგივე უფლებები და პრივილეგიები როგორც სხვებს, რაც ნიშნავს ინკლუზიის შემდგომ ეტაპზე გადასვლას. (აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას კანონი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, 2008)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა საერთაშორისო არენაზე ნელი პროგრესით მიმდინარეობს. ეს დასტურდება გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული არაერთი დეკლარაციითა და რეზოლუციით (UN 1948; 1966; 1989; 1994; UNESCO 1991; 1994). თუმცა, ინკლუზიური სკოლის პრინციპები მხოლოდ 1994 წლის სალამანკას დეკლარაციაში ჩამოყალიბდა. (პაჭკორია, 2011)

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 2006 წლის 13 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს. 30 დღის შემდეგ 20-მა სახელმწიფომ მას გაუკეთა რატიფიკაცია. თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა მოძებნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობის გზები. (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია, 2006)

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყნები ცვლიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ამ პირთა მიმართ და გადადიან ინტეგრაციის გზაზე, ეს გამოწვეულია იმითი, რომ ისინი ნერგავენ სხვადასხვა საერთაშორისო აქტებს, რომლებიც მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. ქვეყნებს შორის რომლებსაც აქვთ ყველაზე სრულყოფილი კანონმდებლობა მოიაზრება კანადა, კვიპროსი, ბელგია, ესპანეთი, შვეცია, აშშ, დიდი ბრიტანეთი. 1971 წლიდან მათ შეუერთდა დანია, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ნორვეგია, გერმანია და ფინეთი ინკლუზიური განათლება არსებობს უკვე 30-40 წლის განმავლობაში.

ათი წლის წინ გერმანიამ რატიფცირება გაუკეთა გაეროს დადგენილებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარ წვდომას განათლებაზე. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ხშირად ეს კანონმდებლობა რჩება ქაღალდზე.

გერმანიის კონსტიტუციაში შეტანილია სიტყვები „არავინ არ უნდა დაიჩაგროს საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობის გამო“. გერმანიის კონსტიტუცია ყველა ადამიანს „აძლევს უფლებას რეაბილიტაციისა და ნორმალურ ცხოვრებაში ინტეგრაციის“ ეს კანონი ხორციელდება როგორც ფედერალურ ასევე ცალკეული მიწების დონეზე. სამოქალაქო სამართლით აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ზიანის მიყენება კერძო პირების დონეზეც, მაგრამ გერმანიის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მათთვის უპირატესობის მინიჭებას და ხელს უწყობს საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარი პირობების შექმნას და თანაბარი შანსის მიცემას. გერმანიაში მოქმედებს გარკვეული წესები და ნორმები, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალიზაცია საზოგადოებაში და იმ პირთა სოციალიზაცია, რომლებთაც ელით შემდგომში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსი.

გერმანიის კანონმდებლობას საფუძვლად უდევს ის კვლევა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაცია და შემდგომში შრომითი მოწყობა ეკონომიურად გაცილებით მომგებიანია ვიდრე, მათი მომავალი უზრუნველყოფა პენსიებითა და შემწეობებით.

გერმანიაში არსებობს სოციალური სამართლის კოდექსი რომელიც არის სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალიზაციისათვის და განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია ხორციელდება ადრეული ასაკიდან, რაც შესაძლებლობას იძლევა მინიმუმამდე დაიყვანოს შემდგომი პრობლემები. ყველა პროცესი მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალურ საჭიროებაზე. (ასოციაცია დეა, 2012)

ყველაზე მეტი სირთულე იწყება სკოლაში, სტატისტიკამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია სწავლების საფეხური, მით ნაკლები შანსი აქვს მოსწავლეს ინკლუზიისათვის. თუ საბავშვო ბაღში „განსაკუთრებული“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების 67% არის ჩართული ინკლუზიურ განათლებაში, დაწყებით სკოლაში ეს ციფრი 46%-მდე მცირდება, ხოლო უფროს კლასელებში 30%-მდე.

გერმანიის სკოლები დაყოფილია სპეციალიზირებულ (sonderschule), კორექციული (Förderschule) და ზოგადი. სპეციალიზირებულ სკოლებში, როგორც წესი სწავლობენ მძიმე ფიზიკური და გონებრივი დარღვევის მქონე ბავშვები, კორექციულში ეგრედწოდებული „რთული ბავშვები“.

კონვენციის მიღების შემდეგ მთავრობა აფიქსირებს სკოლების უფლებებსა და მოვალეობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმართ, მაგრამ რადგანაც სასწავლო დაწესებულებებს მართავს ადგილობრივი მთავრობა, ამიტომ არის აზრთა სხვაობა და ეს პრობლემა მოგვარებული არ არის. დღევანდელი მონაცემებით მხოლოდ ჰამბურგისა და ბრემენის სკოლებს არ აქვთ უფლება უარი უთხრან შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს მიღებაზე. გარკვეულ მიწებზე სკოლამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ აქვს არც რესურსები და არც შესაძლებლობა, რომ მოიპოვოს რესურსი რათა ასწავლოს შშმ მოსწავლეს. ხოლო გარკვეულ ადგილებში სკოლას აქვს უფლება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას ასეთ მოსწავლეს მიღებაზე.

კორექციული სკოლის ერთ-ერთი პრობლემაა ისიც, რომ მათი მოსწავლეების ¾ ვერ იღებს ცხრა კლასის დამადასტურებელ ატესტატს, ხოლო კანონის მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა უმრავლესობას არ აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სკოლა სურვილის მიხედვით. კორექციული სკოლიდან მხოლოდ ყოველ მეათე მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა გადავიდეს დაწყებითი საფეხურიდან ჩვეულებრივ სკოლაში ან გიმნაზიაში.

2009 წლიდან დაიწყო კორექციული სკოლების რაოდენობის შემცირება და სტატისტიკამ დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს სოციალიზაციის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ ჩვეულებრივ სკოლებში. მაგრამ საქმე მხოლოდ კანონმდებლობას არ ეხება. მშობელთა უმრავლესობა თვლის, რომ მასწავლებლები კორექციულ სკოლებში უფრო კომპეტენტურები და დაინტერესებულები არიან, უკეთ იცნობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, უკეთესი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან. გარდა ამისა კრიტიკოსები ამბობენ, რომ ე.წ „რთული ბავშვები“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ხელს უშლიან სასწავლო პროცესის სრულფასოვან მიმდინარეობას, რითაც ზარალდებიან ტიპური განვითარების ბავშვები. როგორც არ უნდა იყოს ჩვეულებრივ სკოლათა უმრავლესობა ექმნება სირთულეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიღებისას. (ასოციაცია დეა, 2012)

გერმანული კანონმდებლობით, როდესაც ბავშვს ენიჭება შშმ სტატუსი ის იღებს ყველა სახის დახმარებას დაწყებული სამედიცინოდან დამთავრებული

სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრით. ამ დროს ბავშვები ძირითადად რჩებიან საკუთარ ოჯახებში და მეცადინეობენ ამ ცენტრებში დღის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე საათი. სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს საკუთარი მოსახლეობის ინფორმირება ასეთი სარეაბილიტაციო ცენტრების შესახებ. სოციალური და სულიერი განვითარება კანონმდებლობით მიჩნეულია პიროვნული განვითარების ძირითად მახასიათებლად. კანონმდებლობით მშობელი ვალდებულია მისცეს ბავშვს განათლება, სახელმწიფო კი ზრუნავს განათლების უფლების რეალიზაციაზე.

შშმ პირების სოციალიზაციაში სახელმწიფოს დახმარება ხორციელდება სამი გზით:

1. ბავშვები დადიან საერთო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში.
2. სკოლიდან თავისუფალ დროს შეიძლება მიიღოს დახმარება საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებში, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის, სადაც ისინი თამაშობენ, მეცადინეობენ და სადაც პედაგოგები და ფსიქოლოგები ზრუნავენ თითოეული მოსწავლის განვითარებაზე.
3. როგორც უკვე აღვნიშნე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გერმანიაში არსებობს სამი სახის სკოლა. სპეციალურ სკოლებში ისინი იღებენ მათზე მორგებულ დახმარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლებს აქვთ უფლება მოითხოვონ სახელმწიფოსგან დახმარება, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში სოციალიზაციისათვის, რომელიც მათ ამზადებს შემდგომი შრომითი საქმიანობისათვის. ეს დახმარება გულისხმობს ფიზიკურ და ინტელექტუალურ რეაბილიტაციას. დახმარება შეიძლება იყოს როგორც ფულადი ასევე სარეაბილიტაციო ცენტრების მომსახურეობა.

საერთაშორისო საზოგადოებაში ხდება დაჩქარება იმ პროცესებისა, რომლებიც განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არა როგორც პიროვნებებს გარკვეული პრობლემებით, არამედ პირებს, რომლებსაც აქვთ ისეთივე უფლებები როგორც სხვებს. მიდგომის სამედიცინო მოდელი იცვლება სოციალური მოდელით.

ამ პრობლემის მიმართ გერმანია იღებს მოქმედების გეგმას „შშმ სტატუსის მქონე პირთა უფლებათა გაეროს კონვენციის რეალიზაციის ნაციონალური გეგმა“ 2011 წლის 15 ივნისს. გეგმა შეიცავს 200-ზე მეტ ღონისძიებას სხვადასხვა მიმართულებით:

1. შრომა
2. განათლება
3. საოჯახო პოლიტიკა
4. ტრანსპორტი
5. თავისუფალი დრო
6. და სხვა.

სკოლებს მიეცათ რეკომენდაცია შეუქმნან კომფორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს.

2011 წელს გაიმართა 25 კონფერენცია, რომელიც შეეხებოდა შშმ პირთა სოციალიზაციასა და ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე გამოიკვეთა პრობლემა, რომ **ასაკის მატებასტან ერთად ღრმავდება განსხვავება** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **მოზარდებსა და მათ ტიპურ თანატოლებს შორის** ამიტომ მათი სოციალიზაციისათვის აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება სკოლის ეტაპზე.

ანალოგიური მოსაზრებები გამოითქვა ნორვეგიის სკოლებთან დაკავშირებითაც, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა სოციალიზაციის პრობლემები მთელს მსოფლიოში არის საერთო.

ნორვეგიულ დაწყებით სკოლას მდიდარი ისტორია აქვს. იგი სათავეს იღებს 1739 წლიდან, მეფე ქრისტიან VI მიერ მისი დაფუძნების დღიდან. ამ საყოველთაო სკოლის დაარსება იმ დროისათვის იყო მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც ხორციელდებოდა აბსოლუტური მონარქის მიერ და მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქრისტიანული პიეტისტური და კამერალისტური იდეოლოგია.

ზოგიერთი სპეციალური სკოლის ტრანსფორმაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა განათლების მხარდამჭერ ნორვეგიულ სისტემაში გამოკვეთილი მიმართულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების სწავლების აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ უახლესი ეროვნული პროგრამა გულისხმობს საგანმანათლებლო-ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების კომპეტენტურობის ამაღლებას როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, ტრეინინგების ჩატარებას ფსიქოლოგიის, საგანმანათლებლო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა განათლების სფეროში. შედეგად 20-25%-ით გაიზარდა. მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის სისტემა 2000-2002 წლებში განხორციელდა პრაქტიკის ამაღლების სამწლიანი პროგრამა.

კანონმდებლობა

ნორვეგიის განათლების სისტემის მიზანია ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს მორგებული განათლების დამკვიდრებით. (ბერიტ, ჰ, 2001).

განათლების საკითხები ნორვეგიაში რეგულირდება 1999 წელს მიღებული კანონით განათლების შესახებ, სპეციფიკური განათლების შესახებ ნორმები გათვალისწინებულია ამ კანონის მე-5 მუხლში. კანონებს ამზადებს და იღებს შტორტინგი, ნორვეგიის პარლამენტი.

დაფინანსება

განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით განათლებისთვის არ არის გამოყოფილი ცალკე დაფინანსება ეროვნულ დონეზე, თავიანთ ტერიტორიაზე ამ საკითხზე პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის სასკოლო ბიუჯეტის დაახლოებით 20% იხარჯება სპეციფიკურ განათლებაზე. დამატებითი სახელმწიფო სუბსიდიები გამოიყოფა რეგიონული განსხვავებების შესამცირებლად. ეს მოიცავს სპეციფიკური სკოლებისა და მომსახურების დამატებით დაფინანსებას.

საგანმანათლებლო-ფსიქოლოგიური მომსახურება

ჯანდაცვის დაწესებულებებს, სკოლებს, აგრეთვე მშობლებს დახმარებისთვის შეუძლიათ მიმართონ საგანმანათლებლო-ფსიქოლოგიურ ცენტრებს. ცენტრი მშობლების წერილობითი თანხმობით ადგენს ანგარიშს, რომელშიც აისახება მოსწავლის საჭიროებები, მიზეზი, რის გამოც ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ განათლებას, ამ განათლების შინაარსი, ასევე განათლების უზრუნველყოფის გზები. სკოლა შეიმუშავებს განათლების ინდივიდუალურ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო - ფსიქოლოგიური ცენტრის რჩევები, გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს კურიკულუმთან, რომლითაც ხელმძღვანელობს კლასის დანარჩენი ნაწილი. ანგარიში წარედგინება მუნიციპალიტეტებს, რომლის საფუძველზე იგი უზრუნველყოფს მოსწავლის სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. თუ მუნიციპალიტეტი არ გაიზიარებს ანგარიშში მოცემულ დასკვნებს, ვალდებულია დაასაბუთოს უარის მიზეზი.

განსაკუთრებული განათლება საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში

ნორვეგიაში 1991 წლიდან დაიწყო სპეციფიკური განათლების სისტემის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც არსებული 40 სპეციალური განათლების სკოლიდან 20 დაიხურა, ხოლო დანარჩენი 20 გადაკეთდა რესურს ცენტრად. რეორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო განათლების სრულ ინკლუზიურ სისტემაზე გადასვლა.

ამჟამად განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით განათლებას ეროვნულ დონეზე იღებს მოსწავლეთა საშუალოდ 6.5%. თუმცა საგრაფოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ეს მაჩვენებელი მერყეობს 1.6% -დან 19%-მდე. ვინაიდან სპეციალური სკოლების რაოდენობა ძალიან შეზღუდულია, ისინი არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ინკლუზიის პროცესში. ნორვეგიის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი პრინციპია სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სოციალიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

კურიკულუმში მითითებულია, რომ:

- სკოლამ უნდა უზრუნველყოს ყველა მოსწავლის მიღება და აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე;

განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით განათლების მიღება ხდება ინკლუზიის, თანამონაწილეობისა და დეცენტრალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით. მისი მიზანია შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნას ყველა მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სისტემის ფარგლებში. (ბერიტ, ჰ, 2001).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება ნორვეგიაში გულისხმობს ორი სახის დახმარებას:

1. დამყარებული სოციალურ კავშირებზე და ფინანსურ კავშირებზე
2. კულტურული, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო ცოდნისა და მოსახლეობის კულტურის ამაღლებას.

რეაბილიტაცია ნორვეგიული კანონმდებლობით გულისხმობს დაგეგმილ პროცესებს, რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მიაღწიოს საუკეთესო შრომისუნარიანობას და შეიძინოს უნარები იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რეაბილიტაცია არის კომპლექსური ღონისძიებები, რომელშიც სამედიცინო, სოციალურ, სოციალ-პოლიტიკურ და ჰოლისტური თეორიები

ავსებენ ერთმანეთს. იმისათვის, რომ ნორვეგიას მიეღო ეს კანონ მას მოუწია შიდა კანონმდებლობის შეცვლა.

ნორვეგიაში რესურს ცენტრები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ჩვეულებრივ სკოლებთან და მათ ნაციონალური რესურსცენტრები ეწოდებათ. (ნორვეგიაში რესურსცენტრი იგივეა, რაც დღის ცენტრი). ნორვეგიაში ასეთი ცენტრები ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

მნიშვნელოვანები კანონები მიიღო 2009 წლისთვის ნორვეგიის პარლამენტმაც, მაგრამ კვლევებმა აჩვენეს, რომ თეორიასა და პრაქტიკას შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობა, აღმოჩნდა, რომ ბავშვების 20-25% ვერ იღებს შესაბამის მომსახურეობას მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ამიტომ აუცილებელია აიგოს ხიდი ჩეულებრივ და სპეციალურ პედაგოგიკას შორის, რაც მოითხოვს განათლების პრაქტიკის მნიშვნელოვან ცვლილებებს. სკოლა უნდა მოერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის საჭიროებებს და არა პირიქით. მოგვიანებით ნორვეგიის განათლების სამინისტროს შეიმუშავა პროექტი/დადგენილება „განათლება და საზოგადოება“ რომელიც მიეძღვნა სპეციალურ განათლებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ინკლუზიური განათლება არის განათლების ძირითადი ბაზისი და სახელმწიფოს პრინციპი, იგი უნდა ხორციელდებოდეს როგორც ჩვეულებრივი ასევე სპეციალური განათლების სახით და სამინისტრომ პარლამენტისაგან განსხვავებით მოახდინა სპეციალური განათლების უფლებების გაფართოება (ნორვეგიაში სპეციალური სკოლების უმეტესობა დაიხურა). (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2018)

იმისდა მიხედვით თუ როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლება ქვეყნები იყოფა სამ კატეგორიად:

1. პირველ კატეგორიაში შედის ქვეყნები, რომლებიც გარანტირებულად უქმნიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს ინტეგრირებული განათლების საშუალებას, ქმნიან ყველა ან თითქმის ყველა ბავშვისათის. ეს მიიღწევა იმით, რომ ჩვეულებრივ სკოლაში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს უქმნიან სწავლისა და განვითარებისათვის ყველანაირ პირობას ასეთებია: ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, შვეცია, ისლანდია, ნორვეგია და კვიპროსი.

2. ქვეყნები, სადაც არსებობს ჩვეულებრივ სკოლაში სწავლის შესაძლებლობა და სპეციალური სკოლებიც. ინტეგრაცია მიიღწევა ამ სისტემების სხვადასხვა მეთოდის ურთიერთქმედებით. ესეთი ქვეყნებია: დანია, საფრანგეთი, ირლანდია, ლუქსენბურგი, ავსტრია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, ლიხტენშტეინი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლიტვა, სლოვენია, სლოვაკეთი.
3. აქ ერთიანდება ქვეყნები, რომელშიც არსებობს ორი განსხვავებული სისტემა სპეციალური განათლების სისტემა და ჩვეულებრივი განათლების სისტემა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები სარგებლობენ მხოლოდ სპეციალური განათლების სისტემით. ამ სკოლების პროგრამა განსხვავდება ჩვეულებრივი სკოლების პროგრამისაგან და ეს სისტემები რეგულირდება სხვადასხვა კანონმდებლობით. ასეთი ქვეყნებია შვეცია და ბელგია.

არის ქვეყნები, რომელიც ძნელია მივაკუთვნოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიას, სულ ცოტახნის წინ ისინი მიეკუთვნებოდნენ მესამე კატეგორიას, მაგრამ ისინი ცვლიან კანონმდებლობას და ცდილობენ დანერგოს ინკლუზიური განათლება, ასეთი ქვეყნებია გერმანია და ჰოლანდია. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2018)

ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად: დანიაში, იტალიაში და ნორვეგიაში კანონი ინტეგრირებული განათლების შესახებ მიღებული იყო საკმაოდ დიდი ხნის წინ, ხოლო ქვეყანათა უმრავლესობაში კანონი მიიღეს შედარებით გვიან.

ზოგიერთ ქვეყანაში იკვეთება ტენდენცია, რომ სპეციალური სკოლები გარდაიქმნას რესურს ცენტრებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის. მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფუნქცია აქვთ:

- ტრენინგი მასწავლებლებისათვის
- სწავლის მეთოდების შემუშავება და გავრცელება
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მშობლების მხარდაჭერა
- ცალკეულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა
- პროფორიენტაცია და მომავალი სამუშაოსთვის მომზადება

2. კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციის კვლევა, საჯარო სკოლასა და დღის ცენტრში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და ანალიზი.

ჩემი მიზანია, გავარკვიო, რა პრობლემებს აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები სკოლაში, ხდება თუ არა მათი სოციალიზაცია სასკოლო გარემოში, როგორია მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, როგორ ახდენს დღის ცენტრი მათ სოციალიზაციას საზოგადოებაში, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ

მასწავლებლებს, თანაკლასელებს, როგორ ეხმარება სკოლა და დღის ცენტრი მათ სოციალიზაციაში და რა ღონისძიებებს ატარებენ ამისთვის.

კვლევის მეთოდი - **თვისებრივი კვლევა:**

- პირისპირი, ჩაღრმავებული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სკოლის მასწავლებლებთან (ჩაღრმავებული ინტერვიუ 118-ე საჯარო სკოლის მე-3 კლასის დამრიგებელთან, 141-ე საჯარო სკოლის 1-ლი, მე-3, მე-5 და მე-7 კლასის დამრიგებლებთან)
- პირისპირ, ჩაღრმავებული ინტერვიუ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებ-ის დღის ცენტრის ოთხ სპეციალურ პედაგოგთან.
- პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუ ანიკას დღის ცენტრის ერთ სპეცილურ პედაგოგთან.
- პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სკოლის სპეციალურ პედაგოგებთან (141-ე საჯარო სკოლის ოთხ სპეციალურ პედაგოგთან და 118-ე საჯარო სკოლის ერთ სპეციალურ პედაგოგთან)
- პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუ ცხრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდის მშობელთან.

თემაში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე ჩამეტარებინა თვისებრივი კვლევა. განვსაზღვრე რესპოდენტები, შევადგინე ოთხი არასტრუქტურირებული კითხვარი სკოლის მასწავლებლების, დღის ცენტრების სპეციალური პედაგოგების, სკოლის სპეციალური პედაგოგების და ასევე მშობლების სიღრმისეული ინტერვიუსთვის.

კვლევის ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხნენ ზემოთ ხსენებული სკოლის მასწავლებლები, დღის ცენტრების პედაგოგები, სკოლის სპეციალური პედაგოგები და ასევე მშობლები.

კვლევითი ინსტრუმენტი შეიქმნა დამუშავებული მეორადი ინფორმაციის (კანონები, კვლევები და ა.შ.) და ჩემი პირადი შეხედულებების,

გამოცდილებების შეჯერებით. საბოლოოდ კი მოხდა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

2.1 საჯარო სკოლის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. **რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე გყავთ კლასში?**

პედაგოგთა ნაწილს გაუჭირდა ზუსტად დაესახელებინა თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე ყავს კლასში.

2. **რა ტიპის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები გყავთ?**

თითქმის ყველა პედაგოგმა დაასახელა თუ რა ტიპის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები ყავდათ. უმეტეს შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ბავშვებს აქვთ ცერებრული დამბლა და ასევე იკვეთება, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს აქვს კვადრიპლეგია (ოთხივე კიდურის დამბლა).

3. **რა სიხშირისა და მოცულობის სასწავლო პროცესს სთავაზობთ თქვენს მოსწავლეებს?**

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა თავდაპირველად პედაგოგთა უმრავლესობას გაუჭირდა, თუმცა ხელმეორედ განმეორებისა და განმარტების შედეგად პედაგოგებმა შეძლეს და გადმოსცეს თუ რა სიხშირისა და მოცულობის სასწავლო პროცესს სთავაზობენ მოსწავლეებს.

4. **რა ფაქტორები განაპირობებს თქვენი მომსახურების სიხშირისა და მოცულობის შეთავაზების ფორმირებას?**

პედაგოგთა უმრავლესობა ამბობს, რომ მომსახურების სიხშირისა და მოცულობის შეთავაზებას განაპირობებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ასევე მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები.

118-ე საჯაროს სკოლის პედაგოგმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან და ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან ერთად მათ მომსახურების სიხშირესა და მოცულობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ კონკრეტულად მისი მოსწავლის შემთხვევაში მისი ძმაც იმავე სკოლაში დადის და ხშირად უწევს დალოდება სანამ მის ძმას არ დაუმთავრდება გაკვეთილები, რადგან დედას ერთად მიყავს ისინი სახლში.

5. **როგორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე?**

უმრავლესობამ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენები ხშირი არ არის, რადგან ისინი თითქმის არ აცდნენ.

6. **თქვენი აზრით რა განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირეს?**

მასწავლებელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ აცდენენ ხშირად მაგრამ თუ აცდენენ ეს გაცდენა გამოწვეულია მათი ჯანმრთელობის პრობლემებიდან გამომდინარე. აგრეთვე ერთ-ერთმა პედაგოგმა თქვა, რომ მისი მოსწავლე ხშირად იმიტომ აცდენს, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და აქედან გამომდინარე ის დედას დაყავს ხელით, ეტლი აქვთ მაგრამ ვერ იყენებენ და სწორედ ამიტომ ბავშვი რაც გაიზარდა დამძიმდა და დედას უჭირს მისი მოყვანა სკოლაში.

7. **რა ღონისძიებებს მიმართავთ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენები ხშირია?**

პედაგოგთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გაცდენები ხშირი არ არის, თუმცა ზოგიერთმა თქვა, რომ თუ გაცდენები ხშირია ისინი უკავშირდებიან მშობელს და იგებენ გაცდენის მიზეზს.

8. **თქვენი აზრით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე არის თუ არა დამოკიდებული სასკოლო გარემოზე?**

თითოეულმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ ეს არ არის დამოკიდებული სასკოლო გარემოზე.

9. **რას გულისხმობს მოსწავლის სოციალიზაცია?**

პედაგოგთა გარკვეულმა ნაწილმა დაახლოებით იცოდა რას ნიშნავს სოციალიზაცია თუმცა ძალიან ბევრი ფიქრი დასჭირდათ, აზრის გადმოსაცემად. ამასთანავე აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც საერთოდ ვერ გამცეს აღნიშნულ კითხვაზე პასუხი, რადგან არ იცოდნენ რას ნიშნავს მოსწავლის სოციალიზაცია.

10. **თქვენი აზრით ახდენს თუ არა გავლენას ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე?**

ყველა პედაგოგი ერთხმად აცხადებს, რომ ხშირი გაცდენები მოსწავლის სოციალიზაციაზე ახდენს გავლენას.

11. **როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სასწავლო გარემოში ჩართვა?**

პედაგოგთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ცდილობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები ყველანაირად ჩართულები იყვნენ საგაკვეთილო პროცესში ისევე, როგორც ტიპური განვითარების ბავშვები. ამასთანავე პედაგოგთა პასუხებში იკვეთება, რომ სპეციალური პედაგოგი თანამშრომლობა დიდ როლს ასრულებს ბავშვების სასწავლო გარემოში ჩართვის მიზნით.

12. **საგაკვეთილო პროცესში რამდენად ჩართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე?**

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ბავშვები აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში.

ერთ-ერთმა 141-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლე იმდენად მოტივირებულია, რომ რამეში მონაწილეობა რომ არ მიაღებინო არ მოგასვენებსო.

13. **რომელი მეთოდი მუშაობს ყველაზე უკეთესად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩასართველად?**

მასწავლებელთა ნაწილმა თქვეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების საგაკვეთილო პროცესში ჩასართველად ყველაზე კარგად მუშაობს ჯგუფური მუშაობა და ასევე გონებრივი იერიში. აგრეთვე ერთმა პედაგოგმა ვერ მომაწოდა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ ქონდა.

14. **თქვენი აზრით როგორია მასწავლებლების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმართ?**

მასწავლებლების უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ მათ მიმართ ყველას დადებითი დამოკიდებულება აქვს.

15. **როგორია თანაკლასელების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მიმართ?**

პედაგოგებმა ერთხმად განაცხადეს, რომ თანაკლასელთა დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მიმართ ძალიან დადებითია და რომ მათ უყვართ ისინი.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მასწავლებელმა კითხა ბავშვებს როგორ იყვნენ კონკრეტულ მოსწავლესთან მეგობრობდნენ თუ არა რაზეც ბავშვებისგან დადებითი პასუხები მივიღეთ. გამოიკვეთა, რომ ბავშვები დადებითად არიან თანაკლასელის მიმართ განწყობილი და მუდამ ცდილობენ, რომ მასზე იზრუნონ.

16. **რა დამატებითი რესურსი არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გარემოს სოციალიზაციისათვის სკოლაში?**

პასუხებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ სკოლაში დამატებითი რესურსის სახით არსებობს რესურს ოთახი, არსებობენ სპეციალური პედაგოგები და ასევე ფსიქოლოგები.

17. რა სირთულეებს აწყდებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობისას?

პედაგოგთა უმრავლესობამ თქვა, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან არ აწყდებიან პრობლემებს. ერთ-ერთი პედაგოგის თქმით პრობლემას იმაში ხედავს, რომ მოსწავლეს არ აქვს გათავისებული მოსწავლის ვალდებულებებს, ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ მასწავლებელი ვერ აცნობიერებს რასთან აქვს საქმე.

18. თანამშრომლობთ თუ არა სპეციალურ პედაგოგთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით?

თითოეულმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობენ სპეციალურ პედაგოგთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით.

19. რა სიხშირით თანამშრომლობთ სპეციალურ პედაგოგთან?

მასწავლებელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ სპეციალურ პედაგოგებთან სიტუაციიდან გამომდინარე თანამშრომლობენ, ხოლო რამდენიმემ აღნიშნა, რომ ძალიან ხშირად თანამშრომლობენ.

20. როგორ თანამშრომლობთ სპეციალურ პედაგოგთან?

კვლევის პასუხებიდან იკვეთება, რომ მასწავლებლები სპეციალურ პედაგოგებთან კითხვა პასუხის რეჟიმში თანამშრომლობენ და იღებენ მათგან რჩევებს.

21. პრობლემის გადასაჭრელად მიგიმართავთ სპეციალური პედაგოგისთვის?

ყველა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ პრობლემის გადასაჭრელად სპეციალური პედაგოგისთვის მიუმართავთ.

22. რა მიდგომებს იყენებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სასკოლო საზოგადოებაში სოციალიზაციისათვის?

პედაგოგთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვით ახდენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სასკოლო

საზოგადოებაში სოციალიზაციას. ამასთანავე ერთ-ერთ პედაგოგს ამ კითხვაზე პასუხი არ ქონდა.

23. თანამშრომლობთ დღის ცენტრის პედაგოგთან?

ყველა პედაგოგმა აღნიშნა, რომ დღის ცენტრის პედაგოგთან არ თანამშრომლობენ.

24. თანამშრომლობთ მოსწავლის თერაპევტთან / ნეიროთერაპევტთან / ფსიქოლოგთან?

ამ კითხვაზეც იგივე პასუხი გამოიკვეთა როგორც დღის ცენტრის პედაგოგთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით სკოლის მასწავლებლები არ თანამშრომლობენ არც მოსწავლის თერაპევტთან, არც ნეიროთერაპევტთან და ასევე არც ფსიქოლოგთან.

25. როგორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა მათ სასკოლო პროცესში?

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლები აქტიურად არიან ჩართულები მათ სასკოლო პროცესში.

26. სკოლა რა ღონისძიებებს ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობის ასამაღლებლად?

მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ამ კითხვაზე ვერ მიპასუხა, რადგან არ იცოდნენ და არ ქონდათ ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ ჯერ არაფერი განხორციელებულა და რასაც სპეციალური პედაგოგები ახორციელებენ მხოლოდ ეგ არის, სხვა არაფერი.

27. რამეს ხომ არ დაამატებდით?

ზოგიერთმა პედაგოგმა არაფერი არ დაამატა ამ ყველაფერს, თუმცა ზოგიერთმა მოისურვა დამატება და აღნიშნეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები არიან ძალიან კარგები და ისინი საჭიროებენ გვერდში დგომას, ამასთანავე ერთ-ერთმა მასწავლებელმა თქვა,

რომ თუ სკოლა იღებს ამ ბავშვებზე პასუხისმგებლობას მაშინ მათთვის შესაბამისი გარემოც უნდა იყოს შექმნილი.

2.2 საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგების ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. **რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე გყავთ?**

პასუხებიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ თბილისის 141-ე საჯარო სკოლაში ყავთ 4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, ხოლო თბილისის 118-ე საჯარო სკოლაში 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე.

2. **რა ტიპის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები გყავთ?**

სპეციალური პედაგოგების პასუხებიდან ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში ბავშვებს აქვთ ცერებრული დამბლა, ასევე წვრილი და მსხვილი მოტორიკის დარღვევა.

3. **რა სიხშირისა და მოცულობის სასწავლო პროცესს სთავაზობთ თქვენს მოსწავლეებს?**

სპეციალური პედაგოგების უმრავლესობამ თქვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები რესურს ოთახში სამეცადინოდ მიდიან კვირაში ორჯერ, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე ისინი გაკვეთილზეც ეხმარებიან მათ.

141-ე საჯარო სკოლის ერთ-ერთმა სპეციალურმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ მათი სკოლა არის საპილოტე მათ ახლა შეთავაზეს შშმ მოზარდების ფიზიკური ვარჯიშების გარკვეული ახალი კომპლექსი.

4. **რა ფაქტორები განაპირობებს თქვენი მომსახურების სიხშირისა და მოცულობის შეთავაზების ფორმირებას?**

სპეციალურ პედაგოგთა უმეტესმა ნაწილმა თქვა, რომ მომსახურების სიხშირისა და მოცულობის შეთავაზების ფორმირებას განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობები.

5. **რა მეთოდებით ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაცია სასკოლო გარემოში?**

სპეციალურმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო გარემოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაცია ხორციელდება მათი ჩართვით სხვადასხვა ღონისძიებებში.

6. **როგორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე?**

სპეციალურ მასწავლებელთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ბავშვების გაცდენები ხშირი არ არის.

თქვენი აზრით რა განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირეს?

სპეციალური პედაგოგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების გაცდენების სიხშირე განპირობებულია მათი ოჯახური გარემოდან და ასევე მათი ავადობიდან გამომდინარე.

7. **რა ღონისძიებებს მიმართავთ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენები ხშირია?**

კვლევის პასუხებიდან თვალსაჩინოა, რომ ხშირი გაცდენები არ ფიქსირდება მაგრამ თუ დაფიქსირდება სპეციალური პედაგოგები ჯერ გაესაუბრებიან დამრიგებელს, შემდგომ დამრიგებელი დაურეკავს მშობელს, რადგან გაარკვიოს გაცდენების სიხშირის მიზეზი და ასევე აღნიშნეს, რომ თუ სიტუაცია იქნება უმართავი და გაცდენების სიხშირე უკიდურეს ზღვარს მიაღწევს ამ შემთხვევაში ისინი დაუკავშირდებიან სოციალურ სამსახურს. ხოლო ერთ-ერთმა სპეციალურმა პედაგოგმა თქვა, რომ არის გაცდენების გარკვეული რაოდენობა რის მერე ბავშვი რჩება კლასში, მაგრამ თუ ამ რაოდენობის

შესრულებამდე ბავშვი ერთხელ მაინც გამოცხადდება სკოლაში მაშინ გაცდენების ათვლა იწყება თავიდან.

8. **თქვენი აზრით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე არის თუ არა დამოკიდებული სასკოლო გარემოზე?**

სპეციალური პედაგოგები ამბობენ, რომ ეს არ არის სასკოლო გარემოზე დამოკიდებული.

9. **რას გულისხმობს მოსწავლის სოციალიზაცია?**

სპეციალური პედაგოგების უმრავლესობის თქმით სოციალიზაცია გულისხმობს იმას, რომ თითოეული მოსწავლე უნდა იყოს ჩვეულებრივი მოსწავლის მსგავსად ურთიერთობაში სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა იყოს ჩართული ყველანაირად საკლასო და სასკოლო გარემოში.

ერთ-ერთმა სპეციალურმა პედაგოგმა კი აღნიშნა, რომ მეორეხარისხოვანია ალბათ უფრო აკადემიური უნარები. მისი აზრით ამ ბავშვებმა შეიძლება ბევრ რამეს ვერ მიაღწიონ აკადემიური თვალსაზრისით მაგრამ ეჩვევიან სხვა ადამიანებთან ურთიერთობას.

10. **თქვენი აზრით ახდენს თუ არა გავლენას ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე?**

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე ჩანს, რომ სპეციალური პედაგოგების აზრით ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე ახდენს გავლენას.

11. **რა ღონისძიებებს მიმართავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სასკოლო გარემოში სოციალიზაციისთვის?**

სპეციალური პედაგოგების თქმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები გამონაკლისის გარეშე არიან ჩართულები ყველა იმ ღონისძიებაში რაც ხორციელდება სკოლაში, ასევე ისინი ჩართულები არიან ექსკურსიებზე, სპორტის გაკვეთილებზე. ასევე აღინიშნა, რომ სკოლას

პანდუსი, რომ ქონდეს უფრო კარგი იქნებოდა, რადგან ადვილად შეძლებდა მოსწავლე გადაადგილებას.

12. თანამშრომლობთ თუ არა საგნის მასწავლებლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით ?

თითოეული სპეციალური პედაგოგი აღნიშნავს, რომ ისინი საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით.

13. რა სიხშირით თანამშრომლობთ საგნის მასწავლებლებთან?

სპეციალური პედაგოგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი თითქმის ყოველდღე თანამშრომლობენ საგნის მასწავლებელთან.

14. თანამშრომლობთ დღის ცენტრის პედაგოგთან?

აღინიშნა, რომ სპეციალური პედაგოგები არ თანამშრომლობენ დღის ცენტრის პედაგოგებთან, თუმცა ერთ-ერთმა სპეციალურმა პედაგოგმა, რომელიც ამავდროულად აღმოჩნდა დღის ცენტრის პედაგოგიც აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება თუ სკოლა და დღის ცენტრი ითანამშრომლებს.

15. თანამშრომლობთ მოსწავლის თერაპევტთან / ნეიროთერაპევტთან / ფსიქოლოგთან?

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე ისინი არ თანამშრომლობენ მოსწავლის თერაპევტთან/ნეიროთერაპევტთან/ფსიქოლოგთან.

16. რამდენად ხშირად თანამშრომლობთ მშობლებთან?

სპეციალური პედაგოგების პასუხებიდან ჩანს, რომ ისინი ძალიან ხშირად თანამშრომლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლებთან.

17. რა პრობლემებს აწყდებით მშობლებთან?

როგორც სპეციალური პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლებთან პრობლემებს არ აწყდებიან.

18. რამეს ხომ არ დაამატებდით?

რამდენიმე სპეციალურმა პედაგოგმა დაამატეს ამ ყველაფერს ის, რომ ინკლუზიური განათლება არის მნიშვნელოვანი და ჩვენი საზოგადოების წინსვლა დამოკიდებულია იმაზე რამდენად ჯანსაღად შეხედავს საზოგადოება ინკლუზიურ განათლებას და რამდენად ითანამშრომლებს სკოლა, დღის ცენტრი თუნდაც სამედიცინო პერსონალი და ოჯახი ერთმანეთთან ეს არის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი გზა.

2.3 დღის ცენტრის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. **რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე გყავთ?**

როგორც აღმოჩნდა დღის ცენტრში **ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება** ირიცხება 50-მდე ბენეფიციარი, ხოლო დღის ცენტრში **ანიკა** ირიცხება 19 ბენეფიციარი.

2. **რა ტიპის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები გყავთ?**

დღის ცენტრების პედაგოგების გადმოცემით ძირითადად ცენტრში ბენეფიციარებს აქვთ ცერებრული დამბლა.

3. **რა სიხშირისა და მოცულობის სასწავლო პროცესს სთავაზობთ თქვენს მოსწავლეებს?**

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობას აღნიშნა, რომ აქვთ წინასწარ გაწერილი კვირის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ახორციელებენ აქტივობებს. ამასთანავე აღნიშნეს, რომ თითოეულ ბენეფიციარს აქვს თავისი დღის ცენტრში სიარულის გრაიფიკი და მათ იციან როდის რომელი აქტივობის დროა და მიყვებიან ამ გრაფიკს.

4. **რა ფაქტორები განაპირობებს თქვენი მომსახურების სიხშირისა და მოცულობის შეთავაზების ფორმირებას?**

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დაკვირვების შედეგად ისინი ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ბენეფიციარებს

სთავაზობენ მომსახურების იმ სიხშირესა და მოცულობას, რომელიც გამომდინარეობს მათი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან.

5. **რა სიხშირით დადიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები დღის ცენტრში?**

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე, დღის ცენტრების სპეციალური პედაგოგების თქმით თითოეულ ბენეფიციარს აქვს დღის ცენტრში მისვლის ინდივიდუალური გრაფიკი და ისინი დადიან ამ გრაფიკის მიხედვით. ამასთანავე ისინი გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაშიც დადიან დღის ცენტრი ამაში უწყობს ხელს და მათ გრაფიკს ერგებიან.

6. **როგორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე?**

მათი თქმის ბენეფიციარების გაცდენები ხშირი არ არის.

7. **თქვენი აზრით რა განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირეს?**

როგორც დღის ცენტრების პედაგოგებმა აღნიშნეს, ბენეფიციარები ხშირად არ აცდენენ, მაგრამ თუ გაცდენა ფიქსირდება ეს გამომდინარეობს მათი ჯანმრთელობის პრობლემებიდან, ან გადაადგილების პრობლემის გამო.

8. **რა ღონისძიებებს მიმართავთ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენები ხშირია?**

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ბენეფიციარების ხშირი გაცდენების შემთხვევაში ისინი უკავშირდებიან მშობელს და არკვევენ რატომ აცდენენ.

9. **თქვენი აზრით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გაცდენების სიხშირე არის თუ არა დამოკიდებული დღის ცენტრის გარემოზე?**

პედაგოგთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი გაცდენების სიხშირე დღის ცენტრის გარემოზე დამოკიდებული არ არის.

10. **რას გულისხმობს მოსწავლის სოციალიზაცია?**

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობის გადმოცემით მოსწავლის სოციალიზაცია გულისხმობს, რომ გარემოში იყვნენ ადაპტირებულები. ასევე მათი თქმით სოციალიზაცია არის ხელშეწყობა იმისი, რომ საზოგადოებაში დამოუკიდებლად იფუნქციონირონ, შეეძლოთ ადამიანებთან ურთიერთობა ამ სტიგმებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

11. **თქვენი აზრით ახდენს თუ არა გავლენას ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე (გარემოში ადაპტაციასა და სასწავლო გეგმის დაძლევაზე)?**

პედაგოგთა უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ხშირი გაცდენები გავლენას ახდენს მოსწავლის სოციალიზაცია და გარემოში ადაპტაციაზე, ასევე მათ ხშირი გაცდენების შემდეგ როგორც თქვეს უჭირთ იმ რეჟიმში ყოფნა რომელშიც იყვნენ სანამ ხშირი გაცდენები ექნებოდათ.

12. **რა ღონისძიებების დახმარებით ახორციელებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების განვითარებას?**

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ აქვთ სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ბავშვებს განვითარებაში ეხმარება. მაგალითად ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ სამაგიდო აქტივობები აქვთ ძალიან ბევრი, სპორტული აქტივობები, რომელიც არითმეტიკულ უნარებს ავითარებს, ასევე აკადემიური უნარები, სევე როგორც თქვა ოკუპაციურ თერაპევტს აქვს ოთახი მოწყობილი სადაც არის ძალიან ბევრი რესურსი. აგრეთვე აღნიშნეს, რომ აქვთ გასვლითი ღონისძიებები, რომ ნახონ ბავშვებმა საზოგადოებაში რა ხდება და ასევე ყავთ ხოლმე სტუმრები სხვადასხვა პროფესიის, რომლებიც უყვებიან თავიანთ ცხოვრებაზე.

13. **რა ღონისძიებებს იყენებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციისათვის საზოგადოებაში?**

პედაგოგთა უმეტესობამ თქვა, რომ აქვთ გასვლითი ღონისძიებები, მიდიან ექსკურსიებზე რაც დაკავშირებულია მოზარდების სოციალიზაციასთან.

დღის ცენტრის **ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების** პედაგოგმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობები აქვთ, მაგალითად კვირაში ერთი დღე აქვთ ღია გაკვეთილი, როდესაც სტუმარი მისდით აცნობენ რას აკეთებენ და მერე თვითონ ეხმარებიან. ასევე აქვთ გამოფენა გაყიდვა, ხარატულა აქვთ ასეთი აქტივობა სადაც რაღაცებს აკეთებენ და შემდეგ გააქვთ და ყიდიან.

14. რა ღონისძიებების გამოყენებით ახდენთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციას სასკოლო გარემოში?

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე, კვლევამ აჩვენა, რომ დღის ცენტრების პედაგოგთა უმრავლესობას ჩამოყალიბებული პასუხი ამ კითხვაზე არ აქვთ.

15. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციის მიზნით სკოლის მასწავლებლებთან თანამშრომლობთ?

ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობენ საჭიროებიდან გამომდინარე თუმცა დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობის თქმით ისინი სკოლის მასწავლებლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით არ თანამშრომლობენ.

16. რამდენად ხშირად თანამშრომლობთ სკოლის პედაგოგებთან?/რატომ არ თანამშრომლობთ სკოლის პედაგოგებთან?

ისევე როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იკვეთება ის, რომ დღის ცენტრების პედაგოგები არ თანამშრომლობენ სკოლის პედაგოგებთან, ხოლო თუ უწევთ თანამშრომლობა ისიც ერთჯერადად, რადგან ისინი იყენებენ სკოლაში არსებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

17. რამდენად ხშირად თანამშრომლობთ მშობლებთან?

დღის ცენტრების მასწავლებლები ერთხმად აცხადებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლებთან ძალიან ხშირად თანამშრომლობენ, ზოგჯერ ყოველდღიურადაც კი უწევთ თანამშრომლობა.

18. რამდენად ჩართულები არიან მშობლები ბავშვების სოციალიზაციაში?

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლების ბავშვების სოციალიზაციაში შეძლებისდაგვარად მაგრამ არიან ჩართულები, აღინიშნა ისიც, რომ არან ძალიან აქტიური მშობლებიც.

19. რა სახით არიან მშობლები ჩართულები ბავშვის სოციალიზაციაში?

დღის ცენტრების პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა სახით ყველა მშობელია ჩართული ბავშვის სოციალიზაციაში მაგალითად აღნიშნეს, რომ ღია გაკვეთილი როცა აქვთ ესწრებიან მშობლები და თვითონაც იღებენ მონაწილეობას, ასევე მიდიან ექსკურსიებზე და იქაც არიან ჩართულები და ახლა გეგმავენ მშობლები რო დაესწრონ კვირაში ორჯერ და რამე რო თვითონ წაუკითხონ ბავშვებს.

20. რამეს ხომ არ დაამატებდით?

რამდენიმე პედაგოგმა დაამატა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ბევრი რამე ჭირდებათ ოღონდ არამარტო მატერიალურად. ასევე აღნიშნეს ის, რომ მათთვის დღის ცენტრის ეს ყოველდღიურობა და აღნიშნული აქტივობები არის ბედნიერება და მათ ეს ძალიან უხარიათ.

2.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მშობლების ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. **დადის თუ არა თქვენი შვილი დღის ცენტრში?**

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა უმრავლესობა დადის დღის ცენტრში.

2. **რა მომსახურებას გთავაზობთ დღის ცენტრი?**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლების გადმოცემით დღის ცენტრი ბავშვებს სთავაზობს ABA თერაპიას, სხვადასხვა აქტივობებს და სხვადასხვა მომსახურებებს.

3. **რა მომსახურებას გთავაზობთ სკოლა?**

მშობლების უმრავლესობის თქმით ბავშვების სკოლაში იღებენ რესურს ოთახის მომსახურებას, სპეციალური პედაგოგის მომსახურებასა და ფსიქოლოგის მომსახურებას, ამასთანავე ზოგიერთმა მშობელმა ამ შეკითხვაზე პასუხი ვერ გამცა.

ერთ-ერთი მშობლის თქმით განათლების სისტემაში რა რეფორმებიც დაგეგმილია კარგი იქნება თუ იმ რეფორმებს სკოლები განახორციელებენ და იქნება ზუსტად ისეთი დატვირთვით და რეალური როგორიც არის ქაღალდზე გადმოტანილი.

4. **რა ფაქტორები განაპირობებს იმ სერვისებს, რასაც გთავაზობენ და რითაც თქვენ სარგებლობთ?**

მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა თქვა, რომ იმ სერვისებს რითიც ისინი სარგებლობენ განაპირობებს ბავშვის ინდივიდუალური გეგმა და მისი შესაძლებლობები, ხოლო მშობლების გარკვეულმა ნაწილმა ამ კითხვას ვერ უპასუხა.

5. **როგორია თქვენი შვილის/თქვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოსწავლის გაცდენების სიხშირე სკოლაში/დღის ცენტრში?**

მშობლების უმრავლესობას თქვა, რომ ბავშვების გაცდენები ხშირი არ არის, რადგან თითქმის არ აცდენენ, ხოლო ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ მაგალითად შარშან საერთოდ ვერ დაყავდა ბავშვი სკოლაში ტრანსპორტიდან გამომდინარე, თქვა, რომ ტრანსპორტი ახლა კი დაუნიშნეს მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მაინც ვერ დაყავს.

6. **რა განაპირობებს თქვენი შვილის/თქვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოსწავლის სიხშირეს სკოლაში/დღის ცენტრში?**

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ბავშვების გაცდენები ხშირი არ არის, მაგრამ თუ მათ უწევთ გაცდენა ეს განპირობებული მათი ჯანმრთელობის პრობლემებით.

7. **თქვენი აზრით თქვენი შვილის/თქვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოსწავლის გაცდენების სიხშირე არის თუ არა დამოკიდებული სკოლის/დღის ცენტრის გარემოზე?**

მშობლები ერთხმად ამბობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების გაცდენების სიხშირ სკოლის/დღის ცენტრის გარემოზე არ არის დამოკიდებული, როგორც წინა კითხვაში აღნიშნა მშობლებმაც აღნიშნეს, რომ მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოზარდების გაცდენები ხშირ შემთხვევაში ოჯახური გარემოთი ან თავად მოზარდების ჯანმრთელობიდან გამომდინარეა განპირობებული.

8. **რას გულისხმობს მოსწავლის სოციალიზაცია?**

მშობლების უმრავლესობის თქმით სოციალიზაცია ეს არის საზოგადოებაში ინტეგრირება, ამასთანავე მათი თქმით მოსწავლის სოციალიზაცია გულისხმობს იმას, რომ იგი საზოგადოებაში მიიღონ ისეთ როგორიც არის თვითონ და არ იყოს გარიყული, გამოყოფილი სხვისგან.

ამასთანავე მინდა ავღნიშნო, რომ ერთ-ერთმა მშობელმა მოცემულ კითხვაზე პასუხი ვერ გამცა.

9. **რას გულისხმობს მოსწავლის განვითარება?**

მშობლების გადმოცემით მოსწავლის განვითარება ეს არის სხვადასხვა უნარების განვითარება, ისინი აღნიშნავენ, რომ განვითარება გულისხმობს იმას, რომ ბავშვმა შეიძინოს ის უნარები თავისი შესაძლებლობის ფარგლებში რა თქმა უნდა, მოეთხოვებოდეს ის მაქსიმუმი რაც მას შეუძლია, ისწავლოს და განავითაროს ის უნარები, რომლის საშუალებაც აქვს.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორმა მშობელმა აღიშნულ კითხვაზე თუ რას ნიშნავს მოსწავლის განითარება ვერ მიპასუხა.

10. **თქვენი აზრით ახდენს თუ არა გავლენას ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე?**

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ხშირი გაცდენები მოსწავლეთა სოციალიზაციაზე ახდენს გავლენას.

11. **თქვენი აზრით ბავშვის სოციალიზაციისათვის, რომელი უფრო მნიშვნელოვანია სკოლა თუ დღის ცენტრი?**

მშობელთა უმრავლესობის აზრით ბავშვის სოციალიზაციისათვის სკოლა უფრო მნიშვნელოვანია.

ერთ-ერთი მშობელი ასაბუთებს ამ მოსაზრებას და ამბობს, რომ დღის ცენტრში ხდება ამ ბავშვების გამოყოფა, რადგან იქ მხოლოდ შშმ პირები არიან და ამიტომ არ ანიჭებს უპირატესობას დღის ცენტრს და ანიჭებს უპირატესობას სკოლას.

აგრეთვე ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დღის ცენტრი და სკოლა ორივე ერთმანეთთან შეთავსებით უკეთესია.

12. **როგორ თანამშრომლობენ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომელთა მომსახურებითაც თქვენ სარგებლობთ?**

მშობელთა უმრავლესობა ამბობს, რომ თითქმის ყოველდღიურად ძალიან დადებითად თანამშრომლობენ მათთან.

13. **ახდენს თუ არა ოჯახური გარემო გავლენას ბავშვის სოციალიზაციაზე?**

ისინი აღნიშნავენ ერთხმად, რომ ოჯახური გარემო მთავარია და დიახ ის ახდენს ბავშვის სოციალიზაციაზე გავლენას.

14. **თქვენი შვილი/თქვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოსწავლე რამდენად ხშირად დადის სტუმრად მეგობრებთან/ მოყავს სახლში სტუმრად მეგობრები?**

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ჩანს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები შეძლებისდაგვარად ხშირად დადიან ექსკურსიებზე, დაბადების დღეებზე, სხვადასხვა ადგილებში მეგობრებთან ერთად.

15. **რის გაუმჯობესებას ისურვებდით:**

ა) სკოლაში - სკოლის მხრივ მშობლების თქმით ისინი კმაყოფილები არიან უმეტეს შემთხვევაში, თუმცა ზოგიერთი აღნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა თუ ბავშვებს ვისაც სპეციალური პედაგოგი ინდივიდუალურად ესაჭიროებათ ყავდეთ და მუდმივად ეხმარებოდნენ, ასევე აღნიშნეს

ისურვებდნენ, რომ სკოლის გარემო იყოს უფრო ადაპტირებული ვიდრე ახლა არის.

ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ ხშირი კომუნიკაცია ამ ბავშვებთან მასწავლებლების მიერ, 45 წუთის განმავლობაში 5 წუთი მაინც უნდა დაუთმონ ამ ბავშვებს.

ბ) დღის ცენტრში - დღის ცენტრის მხრივ უმეტეს შემთხვევაში მშობლები კმაყოფილებას გამოხატავენ.

ერთ-ერთმა მშობელმა თქვა, რომ იგი არ არის აღფრთოვანებული ამ დღის ცენტრით, რადგან ისინი მიზანს იღებენ ძალიან პრიმიტიულს და ცდილობენ ძალიან მარტივი იყოს.

გ) ოჯახში - რაც შეეხება ოჯახს, მშობლების უმრავლესობამ ამ კითხვაზე პასუხი ვერ დააფიქსირა.

16. **სარგებლობთ თუ არა სხვა სამედიცინო-სოციალური განმავითარებელი სერვისებით? რა სიხშირით, რა სახისა და მოცულობის.**

მშობლების უმრავლესობას აღნიშნა, რომ გადიან სხვადასხვა რეაბილიტაციის კურსს, რომელსაც გავლენა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების წინსვლასა და განვითარებაზე.

17. **რამეს ხომ არ დაამატებდით?**

მშობლების თქმით უკეთესი იქნება, რომ ყურადღება მიექცეს ასეთ ბავშვებს და უფრო მეტი დაფასება ქონდეთ, რადგან ამ ბავშვებში მართლაც დევს ძალიან დიდი პოტენციალი, რომელსაც ყურადღების მიქცევა და აღმოჩენა უნდა, მთავარია რომ ამის დანახვა შეეძლოთ.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი და მეტი ყურადღება ექცევა განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, რადგან განათლება არის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რაზეც დგას სახელმწიფო. განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და თანასწორობა წარმოადგენს მთავარ მიზანს. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ბევრი პრობლემა იკვეთება.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევითი ნაწილის ანალიზმა საინტერესო სურათი აჩვენა. კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ როგორც საჯარო სკოლა ასევე დღის ცენტრი აქტიურად ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციას როგორც სასკოლო გარემოში ასევე ზოგადად საზოგადოებაში.

საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგები აქტიურად ცდილობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების განვითარებას და სოციალიზაციას როგორც სასკოლო გარემოში ასევე საზოგადოებრივ გარემოში, რაც კარგია, თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო სკოლის საგნის პედაგოგები არ არიან გათვითცნობიერებულები თუ რასთან აქვთ საქმე, მათ იმ დონეზე არ იციან რა არის შეზღუდული შესაძლებლობა რა დონეზეც უნდა ფლობდეს ამ საკითხის შესახებ ინფორმაციას სკოლაში

მომუშავე კადრი. ვფიქრობ, რომ აუცილებელია მოხდეს პედაგოგების გადამზადება და მათი ინფორმირებულობა, რადგან მათი ამ საკითხში გაურკვევლობა ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციას და განვითარებას. **აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია დღის ცენტრში განსაკუთრებით აქტიურად და უფრო ეფექტურად მიმდინარეობს.**

დღის ცენტრის მთლიანი გუნდი ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციაზე საზოგადოებაში, იმაზე, რომ ისინი იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და თავი იგრძნონ საზოგადოების ნაწილად. დღის ცენტრი მაქსიმალურად ცდილობს, რომ გამოიყენოს ყველა საშუალება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები ინტენსიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისინი ამას ახორციელებენ თითქმის ყოველდღე რაც ძალიან დიდ წინსვლას ნიშნავს.

ეს იკვეთება შემდეგში:

- დღის ცენტრის „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ პედაგოგმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების საზოგადოებაში სოციალიზაციის ხელშესაწყობათ, კვირაში ერთხელ დღის ცენტრში მათთან მიდის ცნობილი ადამიანი და ცვლიან ინფორმაციებს.
- დღის ცენტრში „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ აქვთ „ხარატულა“, რომლის ფარგლებში მათ საკუთარი ნამუშევრები გააქვთ გამოფენა-გაყიდვაზე და აღნიშნულ გამოფენა - გაყიდვიდან შემოსული თანხით დღის ცენტრი იძენს სხვადასხვა მასალებს ბენეფიციარების განვითარებისათის, ასევე მათ აქვთ გასვლითი ღონისძიებები.

ამასთანავე აღვნიშნავ, რომ ეფექტურია სახელმწიფოს მხრიდან დღის ცენტრების დაარსებისა და დაფინანსების ინიციატივა, რაც განაპირობებს დღის ცენტრების წინსვლასა და ეფექტურ მუშაობას. ასევე ეფექტურია ის ღონისძიებები რასაც სკოლა ახორციელებს საკუთარი შესაძლებლობებიდან

გამომდინარე, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ დღის ცენტრმა და სკოლამ ითანამშრომლოს და საერთო ძალებით იმოქმედონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში სოციალიზაციისათვის, რაც კარგად ვლინდება გერმანიის სახელმწიფოს მაგალითზე, როგორც მოგეხსენებათ გერმანიაში კანონმდებლობით სკოლას და დღის ცენტრს ევალება ურთიერთთანამშრომლობა. ჩემი კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ არც დღის ცენტრისა და არც საჯარო სკოლის პედაგოგები და სპეციალური პედაგოგები ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციისათვის. ვფიქრობ, რომ ერთიანი ძალისხმევით უფრო მეტად წარმატებული იქნება სოციალიზაციის პროცესი და უფრო დიდ წინსვლას დავინახავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში სოციალიზაციის საკითხში. თუმცა ახლა უკვე სავალდებულო გახდა მოზარდის ან მოსწავლის სკოლის შეცვლის შემთხვევაში ითანამშრომლონ ახალი და ძველი სკოლის სპეციალურმა პედაგოგებმა, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათ სწავლას ასევე მათ სოციალიზაციას.

როგორც კვლევიდან გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები უმიზეზოდ იშვიათად აცდენენ გაკვეთილებს როგორც საჯარო სკოლაში ასევე დღის ცენტრში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ როგორც საჯარო სკოლას ასევე დღის ცენტრს აქტიური როლი აქვს აღნიშნული მოსწავლეების სოციალიზაციასა და განვითარებაში.

ჩემმა კვლევამ გამოკვეთა შემდეგი პრობლემები:

- დაბალია მასწავლებელთა ინფორმირებულობა. საჯარო სკოლის პედაგოგებს არ აქვთ გათვიცნობიერებული არსებული სიტუაცია, არ იციან როგორ უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია სასკოლო გარემოში და ზოგადად საზოგადოებაში.

- ერთ-ერთ სკოლაში პრობლემას წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ადაპტირებული გარემოს არქონა. (რესურს ოთახი მდებარეობდა მეოთხე სართულზე, რაც პრობლემას წარმოადგენს შშმ მოსწავლისათვის, რადგან მას აქვს გადაადგილების პრობლემა და მისთვის მოუხერხებელია რესურს ოთახში მეოთხე სართულზე ასვლა).
- ბევრი მშობელი ვერ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აქვს, ისინი რეალურად ვერ აფასებენ მოზარდების იმ შესაძლებლობებს, რომელიც მათ გააჩნიათ და შეიძლება გააჩნდეთ, მაგრამ მშობლის დაბალი მონდომების მაჩვენებლიდან გამომდინარე ხშირად მოზარდებში ეს შესაძლებლობები არ ვითარდება და რჩება ერთ დონეზე.
- როგორც უკვე აღვნიშნე არ არსებობს კავშირი და თანამშრომლობა სკოლასა და დღის ცენტრს შორის.
- სპეციალური მასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ რეალურად ინკლუზიური გარემოს შექმნას და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების შეცვლას.

ასევე ჩემმა კვლევამ გამოავლინა, რომ მშობელთა უმრავლესობა პრიორიტეტად მიიჩნევს სკოლას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს დღის ცენტრების დაბალი ცნობადობით.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციას.
- მიზანშეწონილია სახელმწიფომ უზრუნველყოს სკოლის პედაგოგების ტრენინგები და გადამზადება ინკლუზიური განათლების საკითხებში და ამ საკითხების ცოდნა გათვალისწინებული იქნეს ახალ სქემაში მასწავლებელთა დაწინაურების დროს.
- აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად მიაწოდოს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლებს მათი შვილების უფლებების შესახებ და მათ თავის მხრივ იზრუნონ ამ უფლებების მაქსიმალურად რეალიზებისათვის.
- რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდოს დღის ცენტრების დაფინანსება, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა დღის

ცენტრები გაცილებით უფრო უკეთ ახერხებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაციას.

- სკოლამ უზრუნველყოს ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას და მათ სოციალიზაციას.
- სასურველია სპეციალურმა პედაგოგებმა გააძლიერონ მუშაობა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, მაქსიმალურად ინკლუზიური განათლების გარემოს შექმნისათვის.
- სკოლის პედაგოგები სასურველია დაინტერესდნენ და მაქსიმალურად მოიპოვონ ინფორმაცია კლასში რეალურად ინკლუზიური გარემოს შექმნისათვის, რადგან როგორც კვლევამ აჩვენა, ზოგიერთმა პედაგოგმა არც კი იცის რას ნიშნავს ტერმინი „სოციალიზაცია“.
- მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დონეზე გახდეს სავალდებულო დღის ცენტრისა და საჯარო სკოლის თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ინფორმაციის გაცვლას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების უკეთ სოციალიზაციას.
- საჭიროა სკოლებს მოეთხოვებოდეთ კავშირი და თანამშრომლობა სკოლასა და დღის ცენტრს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

ასოციაცია დეა. (2012). *განათლება და დასაქმება - გზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისაკენ,* თბილისი: ნეკერი, 232 გვ.

ბერიტ, ჰ. (2001). *ნორვეგიული და ევროპული ასპექტები.*

გაგოშიძე, თ. (2008). *ინკლუზიური განათლების პრინციპები*, თბილისი: ნეკერი, 188 გვ.

პაჭკორია, თ. (2009). *გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*, თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 163 გვ.

პაჭკორია, თ. (2011). *ინკლუზიური განათლება ცნებები და ტერმინები*, თბილისი, 188 გვ.

რუხაძე, ნ. (2016). *ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი*, თბილისი, 141 გვ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2016). *ინკლუზიური ზოგადი განათლება,* თბილისი.

ჭინჭარაული, თ. (2013). *ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში,* თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 90 გვ.

ჭანტურია, რ. (2016). *ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში,* თბილისი, 70 გვ.

World Vision Georgia. (2014). *შეზღუდული შსაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებების კვლევა,* თბილისი: სოლეი, 116 გვ.

აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას კანონი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ (2008). ბოლო ნახვა 11.05.2019: https://perspektiva-inva.ru/en/protec-rights/law/foreign/73-invalidnost-programma-prezidenta-obamy-v-oblasti-invalidnosti

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (2018). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სოციალიზაცია სხვა ქვეყნებში.* ბოლო ნახვა 08.06.2019: https://www.un.org/en/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებატა ფაკულტეტი (2018). *ინკლუზიური განათლების ხელისშემშლელი ფაქტორების კვლევა საქარველოს საჯარო სკოლებში.* ბოლო ნახვა 05.06.2019: https://heconomic.wordpress.com/2018/08/14/inclusive/

ინკუზიური განათლება (2017). *ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა.* ბოლო ნახვა 11.05.2019: http://inclusion.ge/geo

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (2019). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების რაოდენობა საქართველოს მთლიანი მასშტაბით.* ბოლო ნახვა 09.06.2019: https://edu.aris.ge/

საქართველოს მთავრობის დადგენილება №22 (27.01.2010), *სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ,* თბილისი. ბოლო ნახვა 07.06.2019: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4780?publication=0

სოციალური მომსახურების სააგენტო (2018). *დღის ცენტრის მომსახურება.* თბილისი. ბოლო ნახვა 10.05.2019: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=503

სოციალური მომსახურების სააგენტო (2018). *6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით, რომელიც იღებს დღის ცენტრის მომსახურებას.* ბოლო ნახვა 09.06.2019: http://ssa.gov.ge/

სოციალური მომსახურების სააგენტო (2018). *დღის ცენტრების მთლიანი რაოდენობა საქართველოს მასშტაბით.* ბოლო ნახვა 05.06.2019: http://ssa.gov.ge/

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია (2006). ბოლო ნახვა 10.05.2019:

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/disability.shtml

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია (2015). ბოლო ნახვა: 10.05.2018: https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/014/30/PDF/G1501430.pdf?OpenElement